



# ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება



KA990104471775819

№ 01-4-01

11 / იანვარი / 2019 წ.

## ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნეს დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები, ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებებში განსახორციელებელი (დასაფინანსებელი) პროექტ(ებ)ის შერჩევა.

4. დასახლებების საერთო კრების წარმართვისა და სხდომის თავმჯდომარეობაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვროს შესაბამისი დასახლების საერთო კრების გამართვამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში და ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან, ყოველდღე (გარდა დასვენების ან უქმე დღეებისა), 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, 2019 წლის 21 იანვრის ჩათვლით.

6. დაევალოთ:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურს და ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს - საპროექტო წინადადებებთან დაკავშირებით მოქალაქეებისთვის კონსულტაციის გაწევა;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე ამ ბრძანებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირთა საკონტაქტო ინფორმაციის განთავსება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

7. ძალდაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“

დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 4 იანვრის ბრძანება №01-1-01.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 4 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

ხობის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად



გონა ქავაია